**უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო**

19/08/2026

MES 8 26 0001069135

გადაწყვეტილება

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ 25 და 28 მაისის № 620861 და №634925 საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის (2026 წლის 25 და 28 მაისის № 620861 და №634925 განცხადება), დაწესებულების მიერ წარმოდგენილ კორესპონდენციაში ასახული ინფორმაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 5 აგვისტოს სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" 88-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეწყდეს შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (ს/კ: 229275405) მიმართ წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 19 აგვისტოს №1066932 სხდომის ოქმის მეექვსე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქავთარია ზურაბი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
გონაშვილი ვასილ

ელექტრონული
ზეგამოსაცემი
ელექტრონულად